ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № „44“

დაბა ჩაქვი „27“ 01, 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 3, პუნქტი 1, „ს“ ქვეპუნქტი) და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს (მუხლი 3, პუნქტი 1, „ა” ქვეპუნქტი) შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი აპარატის უფროსის რამაზ ბოლქვაძის სახით ერთი მხრივ და შ.პ.ს. „EMI” (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ბადრი მანველიძის სახით მეორე მხრივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დიდი და პატარა ელემენტების შესყიდვა – **CPV კოდი: 31400000** (შემდგომში „საქონელი“), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. საქონლის მიწოდების წესი, ვადები და ღირებულება

2.1. შესასყიდი საქონელის მიწოდება მოხდება მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **არაუგვიანეს 2015 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში,** შემსყიდველის (კოორდინატორის) მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნისთანავე.

2.2. შესასყიდი საქონელის მიწოდება მოხდება მისამართზე: ქ. ბათუმი, ანგისის ქ. №31.

2.3. შესასყიდი საქონლის რაოდენობაა: ელემენტი (დიდი)–50 (ორმოცდაათი) ცალი; ელემენტი (პატარა)–30 (ოცდაათი) ცალი.

2.4. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს:

ა) ელემენტი (დიდი, ერთი ცალი) – 1 (ერთი) ლარს;

ბ) ელემენტი (პატარა, ერთი ცალი) – 0,50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

2.5. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **65 (სამოცდახუთი)** ლარს.

2.6. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენის და წარმოდგენილ საანგარიშსწორებო დოკუმენტებზე შემსყიდველის მიერ თანხმობის მიცემის, დადასტურების შემდეგ, რის შემდეგაც არაუგვიანეს ოცი სამუშაო დღისა, ფაქტობრივად მიღებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით მოხდება ანგარიშსწორება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. **„მიმწოდებელი” ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი დროულად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

ბ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. „მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

3.3. **„მიმწოდებელს” უფლება აქვს** მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

3.4. **„შემსყიდველი“ ვალდებულია** მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

3.5. **„შემსყიდველს” უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან” შესასყიდი საქონლის მიწოდება დროულად, ხელშეკრულებით დაგენილი წესით და დადგენილ ვადებში შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

ბ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან” საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის შეცვლა, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაცილებული დღისათვის, მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

5.1. „შემსყიდველს” უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლის (კოორდინატორის) მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რაც გულისხმობს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე შესასყიდი საქონლის ხარისხის კონტროლს.

5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები არიან ვლადიმერ ჭყონია – სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი და მინდია ფალავანდიშვილი – სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

6.2. ხელშეკრულება მოქმედებს **2015 წლის 25 მარტამდე.**

7. ზოგადი დებულებები

7.1. ხელშეკრულების პირობებში გადახრა ან ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.3. შესასყიდი საქონლის ფასი ფიქსირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით.

7.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, ანგარიშსწორების ნაწილში საბოლოო ანგარიშსწორებამდე.

7.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულების მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს.

7.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს. კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.10. მხარეები თანხმდებიან, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

7.11. მხარეები თანხმდებიან, რომ თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება „ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25 აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური სახაზინო ანგარიშის № GE62TB7901736010100015 საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749 მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22	შ.პ.ს. „EMI" მის.: ქ. ბათუმი, ანგისის ქუჩა №31 ანგარიშის №GE27PC0343600100013008 საიდენტიფიკაციო კოდი: 445389393 მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი" ბათუმის ფილიალი ბანკის კოდი: MIBGGE22
აჭარის მეფრინველეობის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი რ. ბოლქვაძე	დირექტორი ბ. მანველიძე